ამიტომ, როდესაც ალლაჰს სთხოვთ რამეს, სთხოვეთ მას ფირდაუსი

'უბაადა იბნ საამით (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სამოთხეში არის ასი საფეხური, და თითოეულ ორ საფეხურს შორის მანძილი ისეთივეა, როგორიც ცასა და მიწას შორის, ფირდაუსი არის მათგან ყველაზე მაღალი საფეხური, და სწორედ იქიდან გადმოდინდება სამოთხის ოთხი მდინარე, მის ზემოთ კი ალლაჰის ტახტია, ამიტომ, როდესაც ალლაჰს სთხოვთ რამეს, სთხოვეთ მას ფირდაუსი».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ სამოთხეში ასი საფეხური და სასახლეა, სადაც თითოეულ ორ საფეხურს შორის მანძილი ისეთივეა, როგორც ცასა და მიწას შორის. ყველაზე მაღალი სამოთხე ფირდაუსია, საიდანაც გადმოდინდება სამოთხის ოთხი მდინარე, ფირდაუსის ზემოთ ალლაჰის ტახტია, ამიტომ, როცა ალლაჰს სთხოვთ, სთხოვეთ მას ფირდაუსი, რადგან ის არის ყველა სამოთხის ზემოთ!

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65188

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee